ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს სხდომის

ოქმი № 44

2010 წლის 27 სექტემბერი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. აკადემიური საბჭოს უფლებამოსილების ცნობა;
2. აკადემიური საბჭოს მდივნის არჩევა;
3. აკადემიური საბჭოს წევრთა ერთი მესამედის გამოვლენა, რომლის უფლებამოსილების ვადა იქნება ორი წელი;
4. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 ივლისის N210 დადგენილებით სსიპ თბილისის ბოტანიკური ბაღისა და ბოტანიკის ინსტიტუტის სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეერთების გზით რეორგანიზაციის შესახებ საკითხის ცნობად მიღება და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;
5. საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის №274 დადგენილებით სსიპ გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეერთების გზით რეორგანიზაციის შესახებ გადაწყვეტილების ცნობად მიღება და რეორგანიზაციასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;
6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორის, პლაზმური ასტროფიზიკის მიმართულებით სრული პროფესორის, გიორგი მაჩაბლისათვის და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის რომანისტიკის მიმართულებით სრული პროფესორის, ლია ლორიასათვის ემერიტუსის წოდების მინიჭება;
7. 65 წლის ასაკის მ იღწევისა და საუნივერსიტეტო ხელშეკრულების ვადის ამოწურვის გამო გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტის ბიოფიზიკის

ასოცირებული პროფესორის, თამაზ ყალაბეგიშვილის, ევგენი ხარაძის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის, მარინა გიგოლაშვილის, დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის გეოფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის, ვლადიმერ მესხიას და სპორტის ფაკულტეტის ფიზიოლოგიის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის, დურმიშხან ჩიტაშვილის სტატუსის განსაზღვრის შესახებ საკითხის განხილვა და დამტკიცება;

8. ფაკულტეტ საინჟინრო კოლეჯის აკადემიური კონკურსის მასალების განხილვა და შედეგების დამტკიცება;
9. სამართლის ფაკულტეტზე ჩატარებული დეკანის არჩევნების შედეგების ცნობად მიღება, დეკანად არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი გიორგი თუმანიშვილი;
10. ბიზნესის ფაკულტეტზე გამოცხადებული აკადემიური კონკურსის შედეგების დამტკიცება;
11. ბიზნესის ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის, დიმიტრი ჯაფარიძის განცხადების განხილვა ფაკულტეტზე, სტუმარი პროფესორის თანამდებობაზე დოქტორ ჰორსტ ვაიცზეკერის მოწვევასთან დაკავშირებით;
12. ეკოლოგიის ინსტიტუტის დებულებისა და პროგრამის განხილვა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენა;
13. ზოოლოგიის ინსტიტუტის დებულებისა და პროგრამის განხილვა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენა;
14. თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის დებულებისა და ბიუჯეტის განხილვა და წარმომადგენლობითი საბჭოსთვის წარდგენა;
15. გამოყენებითი ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დებულებისა და პროგრამის განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;

16. შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტის დებულებისა და პროგრამის განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
17. ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკური კვლევების ინსტიტუტის დებულებისა და პროგრამის განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
18. მოდერნულობის გენეალოგიის ინსტიტუტის დებულებისა და პროგრამის განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
19. სამართლის ფაკულტეტის დებულების განხილვა და წარდგენა წარმომადგენლობითი საბჭოსთვის;
20. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების, გ. მენაბდის, ქ. გოგილაშვილის, ი. ამირანაშვილის განცხადების განხილვა მედიცინის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დაფუძნებასთან დაკავშირებით;
21. 2010 წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტში განსახორციელებელი ცვლილებების განხილვა;
22. „სტუდენტთა სტატუსის მარეგულირებელ წესში“ ცვლილებების განხორციელების შესახებ მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის წარდგინების განხილვა და დამტკიცება;
23. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ფიზიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადება;
24. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შემდეგი მიმართულებების საბაკალავრო პროგრამების განხილვა და დამტკიცება: **სოციალური მეცნიერებების მიმართულებები:** 1. ევროპისმცოდნეობა - ძირითადი და მეორე პროგრამა; 2. პოლიტიკის მეცნიერება - ძირითადი და მეორე პროგრამა; 3. სოციოლოგია - ძირითადი და მეორე პროგრამა; 4. ფილოსოფია - ძირითადი და მეორე პროგრამა, 5. გამოყენებითი ფსიქოლოგია - ძირითადი და მეორე პროგრამა. **განათლების მიმართულებები:** 6.სკოლამდელი აღზრდა - მეორე პროგრამა; 7.

დაწყებითი სკოლის პედაგოგიკა - ძირითადი პროგრამა; 8. მასწავლებლის მომზადების პროგრამა ; 9. სპეციალური და ინკლუზიური პედაგოგიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა; 10. უცხო ენების სწავლების მეთოდიკა და დიდაქტიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა 11. ხელოვნების დარგების სწავლების მეთოდიკა და დიდაქტიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა. **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულებები**: 12. საქართველოსმცოდნეობა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 13. ბრიტანეთისმცოდნეობა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 14. გერმანისტიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 15. ნიდერლანდისტიკა - მეორე პროგრამა, 16. ესპანისტიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 17. საფრანგეთისმცოდნეობა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 18. იტალიისმცოდნეობა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 19. სლავისტიკა (რუსისტიკა, პოლონისტიკა) - ძირითადი და მეორე პროგრამა, 20. აღმოსავლეთმცოდნეობა (არაბისტიკა, ებრაისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია, აზერბაიჯანოლოგია) - ძირითადი და მეორე პროგრამა. 20. ისტორია - ძირითადი და მეორე პროგრამა; 21. არქეოლოგია - ძირითადი და მეორე პროგრამა; 22. ხელოვნებათმცოდნეობა - ძირითადი და მეორე პროგრამა. **ხელოვნების მიმართულებები** - 23. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - მეორე პროგრამა; 24. თეატრალური ხელოვნება - მეორე პროგრამა; 25. მუსიკა - მეორე პროგრამა. **ზუსტი მეცნიერებების მიმართულებები**: 26.ფიზიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა; 27. მათემატიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა; 28. ინფორმატიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა. **ცოცხალი სამყაროს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულებები:** 29.ბიოლოგია (უჯრედული ბიოლოგია, ეკოლოგია) - ძირითადი და მეორე პროგრამა. **თავისუფალი მეცნიერებების მიმართულებები:** 30. თავისუფალი მეცნიერებები - ძირითადი და მეორე პროგრამა.

25. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესიული უმაღლესი განათლების შემდეგი პროგრამების განხილვა და დამტკიცება: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის პროფესიული პროგრამები: 1. დაზგური ფერწერა; 2. ინტერიერის, ექსტერიერის, მონუმენტური მოხატვის, კერამიკისა და მხატვრული მინის დიზაინი; 3. კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა; 4. მოდის დიზაინი; 5. მხატვრული ტექსტილის, ტყავგალანტერეისა და ფეხსაცმლის დიზაინი; 6. საიუველირო ხელოვნება (ოქრომჭედლობა და მინანქარი); 7. ძეგლთა დაცვა და რეაბილიტაცია (ნაგებობები, ხატწერა, ქვის, ხისა და ლითონის დამუშავება);
26. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის **მოლეკულური ნეირობიოლოგიის მიმართულებით ასისტენტ პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის საკონკურსო კომისიის საკითხის განხილვა.**
27. არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირის „ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტაბოლური გენეტიკის კვლევის ქართული ინსტიტუტის“ სახელწოდებაში შემდეგი ცვლილების შეტანა: ქართულ ენაზე-„მეტაბოლური გენეტიკის თბილისის ინსტიტუტი“ და ინგლისურ ენაზე- „Tbilisi Institute of Metabolic Genetics“.
28. უნივერსიტეტის პროფესორების, ლევან ხეთაგურის, ნინო მხეიძის, მანანა ითონიშვილის, თეონა კახიძის, იური მღებრიშვილის წარდგინების განხილვა უნივერსიტეტის ფარგლებში „ხელოვნების სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის“ დაფუძნების შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. მაია თევზაძე - სხდომის მდივანი;
3. ნიკოლოზ მაღლაფერიძე.

საბჭოს თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარემ, პროფ. გიგი თევზაძემ აკადემიურ საბჭოს მიმართა წინადადებით, რომ რიგგარეშე საკითხად განეხილათ გამოყენებითი ეკონომიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე კონკურსის გამოცხადება. აკადემიურმა საბჭომ გადაწყვიტა, გამოყენებითი ეკონომიკის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე გამოცხადდეს ღია კონკურსი 2010 წლის 10 ნოემბრიდან, საკონკურსო განცხადებები განიხილოს აკადემიურმა საბჭომ და გამოავლინოს გამარჯვებული.

2010 წლის 27 სექტემბრის სხდომაზე აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:

1. **დამტკიცდეს** - ცნობილ იქნას აკადემიური საბჭოს უფლებამოსილება 4 წლის ვადით.
2. **დამტკიცდეს** - აკადემიური საბჭოს მდივნად არჩეულ იქნას მაია თევზაძე.
3. **დადგინდეს -** აკადემიური საბჭოს ერთ წევრს, ნიკოლოზ მაღლაფერიძეს, უფლებამოსილების ვადად განესაზღვროს 2 წელი.
4. **დადგინდეს** - ცნობად იქნას მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 27 ივლისის N210 დადგენილებით სსიპ თბილისის ბოტანიკური ბაღისა და ბოტანიკის ინსტიტუტის სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეერთების გზით რეორგანიზაციის შესახებ, აღნიშნული ინსტიტუტი შეუერთდეს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტს სტრუქტურულ ერთეულად. დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სერგო

რატიანს, უზრუნველყოს ინსტიტუტის შემოერთებასთან დაკავშირებით გასახორციელებელი ღონისძიებების დასრულება 2011 წლის 1 იანვრამდე.

5. **დადგინდეს** - ცნობად იქნას მიღებული გადაწყვეტილება საქართველოს მთავრობის 2010 წლის 10 სექტემბრის N 274 დადგენილებით სსიპ გიორგი ელიავას სახელობის ბაქტერიოფაგიის, მიკრობიოლოგიისა და ვირუსოლოგიის ინსტიტუტის სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეერთების გზით რეორგანიზაციის შესახებ, აღნიშნული ინსტიტუტი შეუერთდეს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების ფაკულტეტს სტრუქტურულ ერთეულად. დაევალოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, სერგო რატიანს, უზრუნველყოს ინსტიტუტის შემოერთებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებების დასრულება 2010 წლის 1 იანვრამდე.
6. **დადგინდეს** - საქართველოს უმაღლესი განათლების შესახებ კანონის 39-ე მუხლის მიხედვით, მიენიჭოს თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის დირექტორს, სრულ პროფესორს, გიორგი მაჩაბელს, 2010 წლი ს 1 ოქტომბრიდან და მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სრულ პროფესორს, ლია ლორიას, 2010 წლის 5 ნოემბრიდან ემერიტუსის წოდება.
7. **დადგინდეს** - დედამიწის შემსწავლელ მეცნიერებათა ინსტიტუტის გეოფიზიკის მიმართულებით ასოცირებულ პროფესორს, ვლადიმერ მესხიას და სპორტის ფაკულტეტის ფიზიოლოგიის მიმართულებით ასოცირებულ პროფესორს, დურმიშხან ჩიტაშვილს, მიენიჭოთ „ლექტორის“ სტატუსი.
8. **დადგინდეს** - მიენიჭოთ გამოყენებითი ფიზიკის ინსტიტუტის ბიოფიზიკის ასოცირებულ პროფესორს, თამაზ ყალაბეგიშვილს, ევგენი ხარაძის ასტროფიზიკური ობსერვატორიის ასტრონომიის მიმართულებით ასოცირებულ პროფესორს, მარინა გიგოლაშვილს „ მკვლევრის“ სტატუსი.
9. **დამტკიცდეს** - ფაკულტეტ საინჟინრო კოლეჯის კომპიუტერული მეცნიერებების მიმართულებაზე გამოცხადებულ კონკურსში ასოცირებული პროფესორის ვაკანტურ თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოცხადდეს ზაქარია გიუნაშვილი

და დაევალოს ადმინისტრაციას, გაუფორმოს შრომითი ხელშეკრულება 3 წლის ვადით.

10. **დადგინდეს** - ცნობად იქნას მიღებული სამართლის ფაკულტეტზე ჩატარებული ფაკულტეტის დეკანის არჩევნები, რომელზეც არჩეულ იქნა ასოცირებული პროფესორი გიორგი თუმანიშვილი.
11. **დამტკიცდეს** - ბიზნესის ფაკულტეტის 2010 წლის 31 აგვისტოს ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე შექმნილი აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო კომისიის მიერ მოწოდებული შედეგები და ასოცირებული პოფესორის თანამდებობაზე გამარჯვებულად გამოცხადდნენ მაია გონაშვილი და აკაკი ცომაია, დაევალოს ადმინისტრაციას, გაუფორმოს მათ შრომითი ხელშეკრულებები 3 წლის ვადით.
12. **დამტკიცდეს** - ეკოლოგიის ინსტიტუტის დებულება და კვლევითი პროგრამა, დებულება გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
13. **დამტკიცდეს** - ზოოლოგიის ინსტიტუტის დებულება და კვლევითი პროგრამა, დებულება გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
14. **დამტკიცდეს** - თეორიული ფიზიკის ინსტიტუტის დებულება და ბიუჯეტი, გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად, დაევალოს ინსტიტუტს, წარმოადგინოს კვლევითი პროგრამა შემდეგ აკადემიური საბჭოს სხდომაზე.
15. **დამტკიცდეს** - ფსიქოლოგიის ინსტიტუტის დებულება და კვლევითი პროგრამა, დებულება გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
16. **დამტკიცდეს** - შედარებითი ინსტიტუტის დებულება და კვლევითი პროგრამა, დებულება გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
17. **დამტკიცდეს** - ფუნდამენტური და ინტერდისციპლინარული მათემატიკური კვლევების ინსტიტუტის დებულება გადაეგზავნოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად, ხოლო კვლევითი პროგრამა ინსტიტუტმა წარმოადგინიოს განმეორებით.

18. **დამტკიცდეს** - შეიქმნას მედიცინის სამეცნიერო- კვლევითი ინსტიტუტი, დამტკიცდეს წარმოდგენილი კვლევითი პროგრამა, ხოლო დებულება წარედგინოს წარმომადგენლობით საბჭოს დასამტკიცებლად.
19. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას 2010 წლის ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები წარმოდგენილი სახით.
20. **დამტკიცდეს** - შეტანილ იქნას ცვლილება 2010 წლის აკადემიური საბჭოს 10 მარტის №36 სხდომის ოქმით დამტკიცებულ „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა სტატუსის მარეგულირებელი წესის“ მე-5 მუხლის მე-2 პუნქტში შემდეგი რედაქციით : „სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის საფეხურებზე სტუდენტებს შეუძლიათ დამატებით აიღონ სემესტრში არაუმეტეს 6 კრედიტისა“.
21. **დამტკიცდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის შემდეგი საბაკალავრო პროგრამები: **სოციალური მეცნიერებების მიმართულებები**: 1. ევროპისმცოდნეობა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 2. პოლიტიკის მეცნიერება - ძირითადი და მეორე პროგრამა, 3. სოციოლოგია - ძირითადი და მეორე პროგრამა, 4. ფილოსოფია - ძირითადი და მეორე პროგრამა, 5. გამოყენებითი ფსიქოლოგია - ძირითადი და მეორე პროგრამა; **განათლების მიმართულებები:** 6. სკოლამდელი აღზრდა - მეორე პროგრამა, 7.დაწყებითი სკოლის პედაგოგიკა - ძირითადი პროგრამა, 8. მასწავლებლის მომზადების პროგრამა, 9.სპეციალური და ინკლუზიური პედაგოგიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 10. უცხო ენების სწავლების მეთოდიკა და დიდაქტიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 11. ხელოვნების დარგების სწავლების მეთოდიკა და დიდაქტიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა; **ზუსტი მეცნიერებების მიმართულებები**: ფიზიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 12. მათემატიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 13. ინფორმატიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა; 14. ცოცხალი სამყაროს შემსწავლელი მეცნიერებების მიმართულება, 15. ბიოლოგია (უჯრედული ბიოლოგია, ეკოლოგია) - ძირითადი და მეორე პროგრამა; **თავისუფალი მეცნიერებების მიმართულებები: - 16.** თავისუფალი მეცნიერებები - ძირითადი

და მეორე პროგრამა. **ხელოვნების მიმართულებები:** 17. სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება - მეორე პროგრამა, 18. თეატრალური ხელოვნება - და მეორე პროგრამა, მუსიკა - მეორე პროგრამა. **ჰუმანიტარული მეცნიერებების მიმართულებები:** 19. ისტორია - ძირითადი და მეორე პროგრამა, 20. არქეოლოგია - ძირითადი და მეორე პროგრამა, 21. ხელოვნებათმცოდნეობა - ძირითადი და მეორე პროგრამა;

22. **დადგინდეს** - დამტკიცდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტს **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მიმართულების შემდეგ საბაკალავრო პროგრამებზე:** 1. საქართველოს მცოდნეობა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 2. ბრიტანეთისმცოდნეობა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 3. გერმანისტიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 4. ნიდერლანდისტიკა - მეორე პროგრამა, 5. ესპანისტიკა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 6. საფრანგეთისმცოდნეობა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 7. იტალიისმცოდნეობა - ძირითადი და მეორე პროგრამა, 8. სლავისტიკა (რუსისტიკა, პოლონისტიკა) - ძირითადი და მეორე პროგრამა, 9. აღმოსავლეთმცოდნეობა (არაბისტიკა, ებრაისტიკა, ირანისტიკა, თურქოლოგია, აზერბაიჯანოლოგია) - ძირითადი და მეორე პროგრამა.
23. **დამტკიცდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის პროფესიული უმაღლესი განათლების შემდეგი პროგრამები: (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ცენტრის პროფესიული პროგრამები) 1. დაზგური ფერწერა, 2. ინტერიერის, ექსტერიერის, მონუმენტური მოხატვის, კერამიკისა და მხატვრული მინის დიზაინი, 3. კომპიუტერული დიზაინი და დაზგური გრაფიკა, 4. მოდის დიზაინი, 5. მხატვრული ტექსტილის, ტყავგალანტერეისა და ფეხსაცმლის დიზაინი, 6. საიუველირო ხელოვნება (ოქრომჭედლობა და მინანქარი), 7. ძეგლთა დაცვა და რეაბილიტაცია (ნაგებობები, ხატწერა, ქვის, ხისა და ლითონის დამუშავება).

24. **დადგინდეს** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიური ბიოლოგიის ინსტიტუტის **მოლეკულური ნეირობიოლოგიის მიმართულებით ასისტენტ**

პროფესორის ერთ საშტატო ერთეულზე გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე შემოსული განცხადებები განიხილოს და კონკურსში გამარჯვებული გამოავლინოს აკადემიურმა საბჭომ.

25. დადგინდეს - გამოცხადდეს ღია კონკურსი ***ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე გამოყენებითი ეკონომიკის მიმართულებით 2010 წლის 10 ნოემბრიდან, საკონკურსო განცხადებები განიხილოს აკადემიურმა საბჭომ და გამოავლინოს გამარჯვებული.***
26. **დამტკიცდეს** - „ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეტაბოლური გენეტიკის კვლევის ქართულ ინსტიტუტს“ ეწოდოს ქართულ ენაზე „მეტაბოლური გენეტიკის თბილისის ინსტიტუტი“ და ინგლისურ ენაზე - „Tbilisi Institute of Metabolic Genetics”;
27. **დადგინდეს** - დაფუძნდეს დამოუკიდებელ სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტად ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, და საკითხი დასამტკიცებლად წარედგინოს წრმომადგენლობით საბჭოს.

სხდომის თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

სხდომის მდივანი

მაია თევზაძე